ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2024 წლის 16 თებერვლის **N01-10/16** ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში – ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში (შემდგომში - ,,დეპარტამენტის“) დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებისათვის ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შეიძლება დეპარტამენტში დასაქმებისათვის განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.

3. დეპარტამენტის უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

3.1. **განათლება:** <u>არანაკლებ</u> მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

3.2. **სამუშაო გამოცდილება:** მუშაობის <u>არანაკლებ 5 წლის</u> გამოცდილება, მათ შორის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის <u>არანაკლებ 2 წელი</u> (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას).

3.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**

ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";

გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

დ) ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

<u>ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:</u>

ე) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა;

3.4. **ენები/უნარები:**

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) <u>უცხო ენის</u> ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ B2 დონე;**

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) <u>უნარები:</u> პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

4.1. **განათლება:** არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

4.2. **სამუშაო გამოცდილება:** მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას);

4.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**

ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";

გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ"

დ) ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

ე) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა;

4.4. **ენები/უნარები:**

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ B2 დონე**;

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

5. დეპარტამენტის **მთავარი სპეციალისტის** ძირითადი **საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

5.1. **განათლება:** არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

5.2. **სამუშაო გამოცდილება:** სპეციალობით მუშაობის არანაკლებ **2** წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას);

5.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**

საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:

ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";

გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

დ) ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

ე) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; ბსუ-ს

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა;

5.4. **ენები/უნარები:**

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: **ინგლისური ენის არანაკლებ B2** ან მაღალ დონეზე ფლობა ან/და სხვა უცხო ენის ცოდნა (უპირატესობა მიენიჭება);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების და ლოგიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა.